ოქმი:ო135. 13524184001
თარიღი:02/07/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №-6

დ. მესტია 28.06. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი, გ. გიგლემიანი, გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ხარძიანი, ზ. ფალიანი, ვ, ფილფანი. თ. დადეშქელიანი, მ. ხორგუანი, შ. რატიანი, შ. ცინდელიანი, მ.რატიანი, შ. გულედანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი. მ. გოშუანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> მ.გელოვანი.

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> ბ. კვიციანი, გ. გელოვანი, ზ. ჯაფარიძე, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, ლ. პაკელიანი, ლ. ქალდანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ქ. ხარძიანი; ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის დირექტორი ი. მიქიანი. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლ. გულედანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 33 წევრიდან 20 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სსხვა მომსახურეთა თანამდებობის, რანგირბის, თანამდებობრივი სრგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მესტიის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N-25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ქ. ხარძიანი; თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

2. ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის ანგარიში 2022-2023 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ.

/მომხსენებელი: ი. მიქიანი; თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი/

3. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში არსებული, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე“.

/მომხსენებელი: ლ. გულედანი; თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი/

4. მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიისა და ლენჯერის ადმინისტრაციული ერთეულების განაშენიანების გეგმის შემუშავების ინიცირების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 28 ივნისის ბრძანება-ბ134.1342418022 შეთანხმების შესახებ“.

/მომხსენებელი: ლ. გულედანი; თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი/

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.
მომხრე----------20
წინააღმდეგი------0
თავი შეიკავა-------0
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № g-135. 135241805 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ქ. ხარძიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სსხვა მომსახურეთა თანამდებობის, რანგირბის, თანამდებობრივი სრგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29

დეკემბრის N-25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

ცვლილება შეხო შრომითი ხელშეკრულებით ნაწილში, იცვლება სახელწოდება და ფუნქციები, საქმიდან გამომდინარე შესყიდვების სამსახურის, შეყიდვების დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანალიზის განყოფილება საჭიროებს დახმარებას და შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე გაიწერება ფუნქცია-მოვალეობა ,,მერის მრჩეველი სახელმწიფო შესყიდვებსა და ფინანსურ საკითხებში''.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: გ. დადვანმა- სავარაუდოდ მერის მრჩეველი სახელმწიფო შესყიდვებსა და ფინანსურ საკითხებში, ძირითადად იმუშავებს საფინანსო საკითხებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სსხვა მომსახურეთა თანამდებობის, რანგირბის, თანამდებობრივი სრგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N-25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება №:9 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ი. მიქიანმა ,,ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის ანგარიში 2022-2023 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ“.

მომხსენებელმა ანგარიში წარმოადგინა პოვერპოინტის ფორმით, შესავალი გააკეთა და კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრე საზოგადოებას დებულებთ გათვალისწინებული ა(ა)იპ-ის ფუნქცია- მოვალეობები, ,,ახალგაზრდული თვითმმართველობის'' მმართველი ორგანოებია-დირექტორი, მუნიციპალიტეტის მერი და ახალგაზრდული საბჭო, საბჭო შედგება შვიდი წევრისგან, საბჭო ირჩევა 3 წლის ვადით შემდეგში კვლავ არჩევის უფლებით. ისაუბრა 2022-2023 წლებში ა(ა)იპ-ის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს, იყო შეხვედრები ახალგაზრდებთან, ისაუბრეს ახალგაზრდების ძირითად პრობლემებზე, მათ იდეებსა და მოსაზრებებზე. მომხსენებელმა ისაუბრა მესტიის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიებსა და გეგმებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანმა -- მადლიერება გამოხატეს ჩატარებულ სამუშაოებზე და კითხვით მიმართა თუ ვინ გეგმავდა ა(ა)იპ-ის საქმიანობას და რამდენად არიან ჩართული მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული დოკუმენტის შექმნაში

----ა(ა)იპ-ის გუნდი მერთან და საბჭოსთან შეთანხმებით ამზადებს სამოქმედო გეგმას, ვის წინაშეც არის ა(ა)იპ ვალდებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის ანგარიში 2022-2023 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-გ-135. 135241801 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ხორგუანმა ,,ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში არსებული, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მთავრობის განკარგულება, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესხებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტისა და საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის №746 განკარგულებით გამოყოფილი კაპიტალური გრანტით დასაფინანსებელი, ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების შესაბამისად, შესათანხმებლად და მოწონებისთვის წარმოდგენილი, მესტიის აეროპორტთან მიმდებარე გზის განათების მშენებლობის პროექტი. აღნიშნული პროექტის განხორციელება დაგეგმილია 2023-2025 წლებში. გრანტის თანხა შეადგენს 547 807 ათ. ლარს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან 450.0 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 97 807 ათ. ლარი.

აზრი გამოთქვა: გ. დადვანი, შ. ცინდელიანი. მ. ხორგუანი-- მოიწონეს და მიესალმნენ წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში არსებული, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №გ-გ-135. 135241804**თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ხორგუანმა მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №:გ-გ-135. 135241803 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. გულედანი ,,მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიისა და ლენჯერის ადმინისტრაციული ერთეულების განაშენიანების გეგმის შემუშავების ინიცირების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 28 ივნისის ბრძანება-ბ134.1342418022 შეთანხმების შესახებ“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------18

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიისა და ლენჯერის ადმინისტრაციული ერთეულების განაშენიანების გეგმის შემუშავების ინიცირების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 28 ივნისის ბრძანება-ბ134.1342418022 შეთანხმების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №-:გ-135. 135241802 **თან ერთვის)**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე